ხატია სამხარაძე •

საქართველოს თანამედროვე ურბანული პოლიტიკა: ძველი უბნების დაცვა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია (თბილისის მაგალითზე) ••

აბსტრაქტი

მოხსენება მიზნად ისახავს წარმოაჩინოს, რა აფერხებს საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის პროცესში; გვიჩვენებს, თუ რაოდენ ნეგატიურ გავლენას ახდენს საზოგადოების პასიურობა და მთავრობის ბიზნეს ინტერესები ქალაქის ისტორიული ნაწილის გადარჩენასა და განვითარებაზე. კვლევა მოიცავს 2017-2021 წლებში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შეფასებას, რაც არსებულ პრობლემას მეტ სიცხადეს სძენს. შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდს: როგორც პირველადი, ისე მეორეული წყაროების ანალიზს; დოკუმენტების შესწავლას და ექსპერტებთან სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარებას.

კვლევა მოიცავს 2021 წლის წინასაარჩევნო პროგრამების ანალიზსს. მოცემული თემების განხილვა საუკეთესო სინთეზს ქმნის, რაც ქართველი საზოგადოებისა თუ პოლიტიკური სპექტრის თბილისური კულტურისადმი ზერელე დამოკიდებულების დემონსტრირებას ახდენს. აღსანიშნავია, რომ 2017-2021 წლებში დარღვევით ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და დაგეგმილი

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

•• მოხსენება 2022 წლის 24 ნოემბერს ჩატარებულ მე-2 სამეცნიერო კონფერენციაზე „პოლიტიკური მეცნიერება საქართველოში: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები“.

სადაო პროექტების გაცნობა, კანონის უგულებელყოფის თვალსაჩინო ნიმუშად გვევლინება, რაც თემის აქტუალობას განაპირობებს.

საკვანძო სიტყვები: ურბანული პოლიტიკა, კულტურული მემკვიდრეობა, თბილისი, საერთაშორისო სტანდარტები, რეაბილიტაცია.

კვლევის აქტუალობა

კულტურული მემკვირეობა შეუფასებელი საგანძურია, რომელიც სახელმწიფოს სახეს წარმოადგენს და ერის იდენტობის ნაწილია, რაც ამ თემასთან დაკავშირებული პროცესების პოლიტიკურ თუ სოციალურ ჭრილში განხილვას განაპირობებს. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მემკვიდრეობის საკითხი სცდება კულტურის ფარგლებს და უფრო ფართო დისკუსიის საგნად გვევლინება. კულტურული მემკვიდრეობა წარსულს, აწმყოსა და მომავალს ერთმანეთთან აკავშირებს. მასშტაბურობიდან და განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მას მხოლოდ ისტორიული დატვირთვა არ აქვს და მიზნად ისახავს ეპოქალური ნაგებობისა თუ ობიექტების მომავალი თაობებისათვის გადაცემას.

„ძეგლებს, როგორც ხალხთა ასწლოვანი ტრადიციების ცოცხალ მოწმეებს, აწმყოში გადმოაქვთ წარსულის სულიერი გზავნილები. კაცობრიობა, რომელიც სულ უფრო მეტად აცნობიერებს ადამიანურ ღირებულებებს, ძეგლებში საერთო მემკვიდრეობას ხედავს და მომავალი თაობებისთვის მათ შენარჩუნებას საერთო პასუხისმგებლობად აღიქვამს. ის იღებს ვალდებულებას, მომავალ თაობებს, ძეგლები ავთენტურობის სრული სიმდიდრის დაცვით გადასცეს.”- (ქარტია, 2013) ეს არის ვენეციის ქარტიის ამონარიდი, რომელიც ნათლად გვიხატავს ისტორიული ძეგლების მნიშვნელობას თანამედროვე სამყაროს განვითარების პროცესში. ქარტიის ძირითადი პრინციპის თანახმად, აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტების დაცვა, რომელიც გვიკრძალავს მნიშვნელოვანი შე-

ნობებისათვის იერსახის შეცვლას კერძო პირთა ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით (ევროპის, 2005).

კვლევის აქტუალობას განსაზღვრავს მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა თუ შინაარსი - მიუხედავად მრავალი რეგულაციის და რეკომენდაციისა, ბოლო პერიოდის განმავლობაში, თბილსში, ზემოთ ხსენებული წესების დაცვა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მიმდინარე მოვლენები: ქაოტური განაშენიანება და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა თუ მათი არეალებისადმი „მომხმარებლური“ დამოკიდებულება, გვიჩენს განცდას, რომ თანამედროვე ეპოქაში, ჩვენს ქვეყანაში მთავარი ადგილი უკავია არა ისტორიასა და სამოქალაქო აქტივიზმს, არამედ ოლიგარქიასა და „ფეოდალიზმს”. (სალაძე, 2019) ამგვარად, აღნიშნულ პრობლემას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. ცალსახაა, რომ დედაქალაქში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები თუ ისტორიული უბნები დასაცავია იმ ადამიანებისა თუ ჯგუფებისაგან, რომლებიც მათში მხოლოდ პირად სარგებელს ხედავენ.

პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება კულტურილი მემკვიდრეობისა და ძველი უბნების მიმართ, განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ყოველი თვითმმართველობის არჩევნების წინ, როდესაც პოლიტიკოსები მაქსიმალურად ცდილობენ საკუთარი დადებითი მახასიათებლების წინა პლანზე წამოწევას. ამ პროცესში, მერობის კანდიდატების უმთავრეს მიზნად ეფექტური პროგრამის წარდგენა გვევლინება. ხშირად პოლიტიკოსების რეალისტური თუ ილუზორული წინასაარჩევნო დაპირებები სარკისებურ ეფექტს გვაძლევს და სრული სიზუსტით ირეკლავს მოსახლეობის დაკვეთას. ეს ტენდენცია 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებზეც შენარჩუნდა. მიმდინარე მოვლენებმა დაგვანახა, რომ პარტიები ელექტორატის გაზრდას კულტურასთან დაკავშირებული დაპირებებით არ ცდილობდნენ. ეს ავტომატურად მიგვანიშნებს როგორც არ-

ჩებნებში მონაწილე სუბიექტების, ისე საზოგადოების პასიურობა-ზე, ინერტულობასა და თემით ნაკლებ დაინტერესებაზე.

წინასაარჩევნო პროგრამების შინაარსთან ერთად, პოლიტიკოსების მთავარი მიზნების, ინტერესებისა და პრიორიტეტების დემონსტრირებას ტელევიზიაში გაჟღერებული ინფორმაციები ახდენს. საზოგადოების დამოკიდებულებაც სხვადასხვა საკითხების მიმართ ყველაზე უკეთ ამ პროცესში იკვეთება. მედიის, როგორც „მეოთხე ხელისუფლების“ დანიშნულება სწორედ ის არის, რომ პოლიტიკური პროცესები ადეკვატურად ასახოს საინფორმაციოებსა თუ თოქშოუებში და როგორც პარტიების, ისე მათი ამომრჩევლების პოზიციები გაგვაცნოს რიგ საკითხებთან მიმართებით.

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების პროცესში, მერობის მსურველთა რაოდენობითა და განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ჩვეულებისამებრ თბილისი გამოირჩეოდა. იმ ძირითად კანდიდატთა სია (არასრული), რომლებიც ერთმანეთის მთავარ კონკურენტებად მიიჩნეოდნენ, ასე გამოიყურებოდა:

- „ ქართული ოცნება“ - კახა კალაძე;
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „დროა“, „გირჩი - მეტი თავისუფლება“ - ნიკა მელია
- „საქართველოსთვის“ - გიორგი გახარია
- „ლელო“ - ანა ბიბილაშვილი
- „ხალხისთვის“ - ანა დოლიძე
- „პატრიოტთა ალიანსი“: გიორგი ლომია
- „ლეიბორისტული პარტია“- მიხეილ ქუმსიშვილი
- მესამე ძალა „სტრატეგია აღმაშენებელი“ - თამარ კეკენაძე (civil.ge, 2021)

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი კანდიდატებიდან მხოლოდ ნაწილმა ახსენა დაპირებებში თბილისის ისტორიული უბნებისა და ძეგლების დაცვა. მეტიც, პარტიების უმეტესობას არ ჰქონდა წარმოდგენილი სრულყოფილი წინასაარჩევნო პროგრამა, რომელიც ამ-

ომრჩეველს მათ ხედვებსა და გეგმებს დეტალურად გააცნობდა. (partiebi.ge, 2021). ეს ფაქტი მიანიშნებს პოლიტიკოსების მიერ თვითმმართველობის არჩევნების მნიშვნელობის გაუაზრებლობაზე, რაც საბოლოოდ პოპულისტური დაპირებების სიჭარბეში გამოიხატება.

იმისთვის, რომ შედარების საფუძველზე დადგინდეს, თუ რას ფიქრობდნენ თბილისის მერობის კანდიდატები დედაქალაქის ისტორიულ ნაწილზე, ძეგლებზე, მათ გადარჩენასა და აღდგენაზე, საჭიროა დაზუსტდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი, ესენია: რა ღონისძიებების გატარებას გეგმავდნენ (არჩევის შემთხვევაში) თბილისის ისტორიული იერსახის შესანარჩუნებლად? მათი აზრით, შეესაბამება თუ არა საერთაშორისო სტანდარტებს 2017-2021 წლებში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოები? როგორ ხედავს თითოეული მათგანი დედაქალაქის განვითარებას კულტურული და შემოქმედებითი პოტენციალის თვალსაზრისით? (partiebi.ge, 2021).

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტურის წინ, მერობის რამდენიმე კანდიდატი განსაკუთრებით მოექცა საზოგადოების ყურადღებიც ცენტრში. თბილისელების დაინტერესება განაპირობა როგორც მათმა რეიტინგმა, ისე სადაო გეგმებმა და განსახორციელებელმა პროექტებმა. ესენი არიან: ნიკა მელია (გაერთიანებული ოპოზიცია), კახი კალაძე („ქართული ოცნება“), ანა ბიბილაშვილი („ლელო საქართველოსთვის“) და გიორგი გახარია (საქართველოსთვის“).

აღნიშნული პოლიტიკოსების კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულება ნათლად გამოჩნდა რამდენიმე ურბანული საკითხის განხილვისას.

partiebi.ge-ს მიერ პოლიტიკური პროგრამების თემატურად შედარების პროცესში, პოზიციები სხვადასხვაგვარად გადანაწილდა.

აღნიშნული პრობლემის სრულყოფილი განხილვა წარმოგვიდგნა EECMD-მა, რომელმაც 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პროგრამები და კამპანიები შინაარსობრივი თვალსაზრისით შეაფასა (netgazeti.ge, 2021). პრეზენტაციის ფარგლებში, პოლიტოლოგმა ბაკურ კვაშილავამ განაცხადა, რომ ნაცვლად სრულყოფილი გეგმებისა, პოლიტიკურმა პარტიებმა წარმოადგინეს ე. წ. „პროგრამა-სადღეგრძელოები", რომლებიც ძირითადად საამო ჟღერადობასა და ამომრჩევლის „გულის მოგებაზეა" გათვლილი (კვაშილავა, 2021). მისივე თქმით, კანდიდატებს შეეძლოთ, partiebi.ge-ს პლატფორმის ფარგლებში, 250 სიტყვაში ჩაეტიათ საკუთარი პოზიციები სხვადასხვა საკითხთან მიმართებით, (მათ შორის კულტურასა და ძეგლთა დაცვაზე) რამაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა წარმოაჩინა (netgazeti.ge, 2021). როგორც გაირკვა, ამ მწირი რეგლამენტის ფარგლებშიც კი, პოლიტიკოსებმა ვერ მოახერხეს საკუთარი ხედვების სრულყოფილად გამოხატვა. განხილული 4 კანდიდატიდან (კახი კალაძე, ნიკა მელია, გიორგი გახარია, ანა ბიბილაშვილი) უმეტესობამ პასუხის გასაცემად გამოიყენა 70-მდე სიტყვა, რაც ძალიან ცოტაა და მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ პოლიტიკოსებს ღირებული არაფერი აქვთ სათქმელი (partiebi.ge, 2021). აღსანიშნავია ისიც, რომ „ქართულმა ოცნებამ" EECMD-თან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა, ამიტომ კითხვების ნაწილზე პასუხები ოგანიზაციამ კალაძის საარჩევნო ბროშურიდან და პროგრამიდან ამოიღო (netgazeti.ge, 2021).

საგულისხმოა ისიც, რომ პარტიები ხშირად არ ასაბუთებენ თუ საიდან აპირებენ საჭირო თანხების მობილიზებას, რაც საზოგდოებს არ აძლევს საშუალებას, სრულყოფილი ინფორმაციის საფუძველე გააკეთოს არჩევანი სასურველ კანდიდატზე.

„განხილული კანდიატები გვპირდებიან: უსახლკაროების დაკმაყოფილებას, ძეგლების რეაბილიტაციას, გზების მოწესრიგებას, თბილისის როგორც ინფორმაციულ, ისე ბიზნესჰაბად გადაქცე-

ვას მაგრამ, ბუნებრივია, საქართველოს ამ ყველაფრის გაკეთება პარალელურად არ შეუძლია. პროგრამებში საერთოდ არ იგრძნობა, რომ ამისთვის საჭიროა გარკვეული ხარჯების გაღება. ეს ხარჯები, ამ პროგრამებს თუ გადავხედავთ, არის უსაზღვრო, მაგრამ, არ არის დასაბუთებული საიდან უნდა მოხდეს მათი მობილიზება.“ - აცხადებს კვაშილავა (netgazeti.ge, 2021) და განმარტავს, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის გასაიდუმლოება, რომელიც ბიუჯეტსა და თანხებს ეხება, პროგრამის სერიოზულ ხარვეზად მიიჩნევა.

აღნიშნული არგუმენტები თვალსაჩინოს ხდის იმას, რომ 2021 წლის თვითმმართველობის წინასაარჩევნო პროგრამებში მინიმალური ადგილი ეთმობოდა კულტურული საკითხების განხილვას და სარეაბილიტაციო პროექტების დაგეგმვას. იმ გამონაკლის შემთხვევაში კი, როდესაც პოლიტიკოსები ქალაქის ისტორიულ ნაწილებთან დაკავშირებულ დაპირებას იძლეოდნენ, არ იკვეთებოდა დეტალებზე ორიენტირება და ზუსტი გეგმის გაწერა, რომლის გარეშეც შეუძლებელია ქალაქის იერსახეზე ზრუნვა და იმის განსაზღვრა, ღირს თუ არა კონკრეტულ კანდიდატზე არჩევანის შეჩერება. ეს არასასურველი მოცემულობა ორ პრობლემაზე მიგვანიშნებს: ერთი უკავშირდება პოლიტიკოსების პოპულისტურ დაპირებებს და არასწორად დალაგებულ პრიორიტეტებს, ხოლო მეორე საზოგადოების პასიურობას, ინერტულობასა და საკითხით ნაკლებ დაინტერესებას. ეს პრობლემები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და საბოლოო ჯამში, იმ მძიმე უკონტექსტობის განცდას აჩენს, რაც ნეგატიურად აისახება საარჩევნო პროგრამებსა და კამპანიებზე.

ბიბლიოგრაფია

ე. ს. (2005, ოქტომბერი 27). *ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ.* Retrieved from http://blueshield.ge/wp-content/uploads/2016/09/convention.pdf

სალაძე-, ს. (2019). *გუდიაშვილისა და ორბელიანის მოედნებზე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები და მათი შეფასება.* Retrieved from gyla.ge: https://gyla.ge/files/news/2008/2%20full.pdf

ქარტია, ვ. (2013, 04 01). *ვენეციის ქარტია 1964.* Retrieved from tbilisiarchitecture.net: https://www.tbilisiarchitecture.net/ka/the-venice-charter-1964/

netgazeti.ge. (2021, 09 28). *EECMD: პარტიებმა წარმოადგინეს პროგრამა-სადღეგრძელოები.* Retrieved from netgazeti.ge: https://netgazeti.ge/news/565442/

civil.ge. (2021, 09 15). *თბილისის მერობისთვის 16 კანდიდატი იბრძოლებს.* Retrieved from civil.ge: https://civil.ge/ka/archives/440278

ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის. (2014, 06 27). Retrieved from matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ. Retrieved from http://blueshield.ge/wp-content/uploads/2016/09/convention.pdf

კანონი. (2007, მაისი 8). *საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.* Retrieved from matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/ka/document/download/21076/9/ge/pdf#

Khatia Samkharadze

Modern urban policy of Georgia: Protection of Old Neighborhoods and Rehabilitation of Cultural Heritage Monuments (The Case of Tbilisi)

Abstract

This report aims to show what Prevents the establishment of international standards in the process of rehabilitation of cultural heritage monuments. It shows how the passivity of the public and the business interests of the government have a negative impact on the survival and development of the historical part of the city. The study includes the evaluation of the rehabilitation works carried out in 2017-2021, which adds more clarity to the existing problem. Based on the content and specificity, the paper is based on the qualitative research method. This includes: analysis of both primary and secondary sources; Studying documents and conducting in-depth interviews with experts.

The research includes the analysis of the pre-election programs of 2021. The discussion of these topics creates the best synthesis, which demonstrates the superficial attitude of Georgian society and political spectrum to Tbilisi culture. It is worth noting that in 2017-2021, getting acquainted with the rehabilitation works carried out in violation and the planned controversial projects is a visible example of disregarding the law, which determines the relevance of the topic.

Keywords: urban policy, cultural heritage, Tbilisi, international standards, rehabilitation.